საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვანათი



ვანათი, ტერიტორიული ორგანოს ცენტრი ერედვის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), გუდისის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. პატარა ლიახვის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1000 მ, ერედვი-დან 7 კმ. 361 მცხ. (2002). სოფლის მახლობლად, მდ. პატარა ლიახვის მარცხ. ნაპირას, მაღალ მთაზე, ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი გორის ადგილას შემორჩენილია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – ფეოდ. ხანის დანგრეული ციხესიმაგრე (წყაროებში იხსენიება XVI ს-იდან). იგი მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა, კონტროლს უწევდა ქსნის საერისთავოს მთიან ნაწილს. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ციხე 1731 ოსმალებს დაურბევიათ და ნაწილობრივ დაუნგრევიათ. 1739 მას სპარსელები შემოეწყვნენ, მაგრამ ვერ აიღეს. ნანგრევებში გამოირჩევა 3 სამშენებლო ფენა: პირველი – დიდი ზომის მონუმ. კოშკის ქვედა ნაწილი გალავნის აღმ. მონაკვეთითურთ (X –XIII სს.), მეორე – სამხრ. ნაწილის ცენტრში აღმართული ე. წ. ზურგიანი კოშკი (XIV –XV სს.), მესამე – ჩრდ.-დასავლეთის გალავანი და სამხრ-ით შესასვლელი კოშკი (XVIII ს.). ციხის მახლობლად დგას ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – X ს. მაცხოვრის ერთნავიანი ეკლესია.

ლიტ.: М е п и с а ш в и л и Р. С., Ц и н ц а д з е В. Г., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида-Картли, Тб., 1975.

ჯ. გვასალია

პ. ზაქარაია